ორი შეხვედრა თბილისში

ამ დღეებში თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის "დინამოს" სტადიონზე გაიმართა ორი თამაში სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. 1 ივლისს ერთმანეთს შეხვდნენ რიგის "დაუგავისა" და თბილისის "დინამოს" გუნდები, ხოლო 8 ივლისს – ემს–ი და ადგილობრივი "სპარტაკი".

ორივე მატჩი სპორტული თვალსაზრისით ნაკლებად საინტერესო გამოდგა. პირველ შეხვედრაში თბილისის დინამოელები ნახევარი ძალით თამაშობდნენ (ენერგიას თუ ინახავდნენ მოსკოველ თანაკლუბელებთან ასპარეზობისათვის) და მაინცადამაინც თავს არ იწუხებდნენ მოპოვებული ინიციატივის განმტკიცებისათვის.

იმის გამო, რომ მასპინძელთა თავდამსხმელები შედარებით ინერტულად თამაშობდნენ – უხალისოდ იბრძოდნენ ბურთისათვის, სწრაფად არ გადიოდნენ ბურთზე და სხვ. – საკმაოდ დიდი დატვირთვის გადატანა მოუხდათ "დინამოს" დაცვასა და ნახევარდაცვას, სადაც შესანიშნავი თამაშით გამოირჩეოდნენ ძიაპშპა (#3) და ანთაძე (#6).

რიგელთა კარში გატანილი ყველა 3 გოლი მეტად ეფექტური იყო: ჯერ კ. გაგნიძემ (მან ბურთის გატანის ორი ნაღდი შესაძლებლობა დაკარგა – ორჯერ პირისპირ დარჩა მეკარე ვინოგრადოვთან, მაგრამ უშედეგოდ) ძნელი მდგომარეობიდან ძლიერი დარტყმით მოათავსა ბურთი კარის დაბალ კუთხეში, შემდეგ ანთაძე ოსტატურად გაიჭრა მარჯვენა ფლანგზე და გამოზომილი დარტყმის შედეგად ანგარიში გაზარდა, და ბოლოს, უკვე გონგის შემდეგ, ჯოჯუამ კარგად მოატყუა სტუმრების მცველი და… "დაუგავამ" კვლავ ცენტრიდან დაიწყო თამაში.

თავდასხმაში იმ დღეს კარგა ხნის შესვენების შემდეგ კვლავ ვიხილეთ მახარაძე (#10), რომელმაც მაღალ დონეზე ჩაატარა მატჩი. იგი შეუცდომლად ერკვეოდა შექმნილ სიტუაციაში, ზუსტად ანაწილებდა ბურთებს, მოხდენილად თამაშობდა თავით. ჩვენის აზრით მახარაძეს უფრო ხშირად უნდა გამოეყენებინა თავისი ძლიერი დარტყმა კარში და მეტი უნდა ემოძრავა.

მეორე შეხვედრა – სამხედრო–საზღვაო ძალთა გუნდსა და თბილისის "სპარტაკს" შორის, ფაქტიურად, ყოველგვარი ბრძოლის გარეშე აღინიშნა.

თითქოს ორივე გუნდი მაყურებელს მძიმე ბეგარას უხდიდა – ფეხბურთელებს ოდნავი მონდომების ნიშანწყალიც არ ეტყობოდათ: მოედანზე მოძრაობდნენ უხალისოდ, ზანტად, აბნეულად.

– ასე ორი დღე და ღამე რომ ითამაშონ, სულ ნოლით ნოლი იქნებაო, – სავსებით სამართლიანად შენიშნა ერთმა მაყურებელმა.

მართლაც, 90 წუთის განმავლობაში არც ერთ კართან არ შექმნილა გოლის გატანის რეალური საფრთხე და ლენინგრადელმა მსაჯმა ი. ავერკინმა აღნიშნა 0:0.

დუბლიორთა შეხვედრებში ასეთი შედეგი მოგვცა: "დინამო" (თბილისი) – "დაუგავა" 2:0, "სპარტაკი" (თბილისი) – ვმს 5:2.

"ლელო", 13 ივლისი 1951 წ.